საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს

გადაწყვეტილება № 40

201 1 წ. „ 9 “ 03

ქ. თბილისი

შპს - საქართველოს საერთაშორისო ურთიერთობათა უნივერსიტეტისათვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭებისა და სტუდენტთა მაქსიმალური რაოდენობიდან პროფესიულ სტუდენტების რაოდენობის განსაზღვრის შესახებ

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" მე-13 და 33-ე მუხლების საფუძველზე, საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2011 წლის 9 მარტის №4 სხდომის ოქმის შესაბამისად,

საბჭომ გადაწყვიტა:

1. მიჩნეულ იქნას, რომ შპს - საქართველოს საერთაშორისო ურთიერთობათა უნივერსიტეტი აკმაყოფილებს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტებს და მიეცეს შემდეგი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილება:

N	პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები	საფეხური	კრედიტები	მისანიჭებელი კვალიფიკაცია
1	ბუღალტრის მოსამზადებელი პროფესიული პროგრამა	III	60	ბუღალტრის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია
2	ინფორმაციული ტექნოლოგი	III	60	ინფორმაციული ტექნოლოგის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია
3	ექთნის თანაშემწე	II	30	ექთნის თანაშემწის მეორე საფეხურის პროფესიული

4	ექთნის თანაშემწის მოსამზადებელი პროფესიული პროგრამა	III	60	ექთნის თანაშემწის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია
5	კბილის ტექნიკოსის მოსამზადებელი პროფესიული პროგრამა	I	30	კბილის ტექნიკოსის პირველი საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია
6	კბილის ტექნიკოსის მოსამზადებელი პროფესიული პროგრამა	II	30	კბილის ტექნიკოსის მეორე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია
7	კბილის ტექნიკოსის მოსამზადებელი პროფესიული პროგრამა	III	30	კბილის ტექნიკოსის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია
8	მასაჟისტი	III	60	მასაჟისტის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია
9	სასურსათო პროდუქტების ეკოლოგიური კონტროლის სპეციალისტი	III	60	სასურსათო პროდუქტების ეკოლოგიური კონტროლის სპეციალისტი მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია
10	სასტუმრო საქმისმწარმოებელი	III	60	სასტუმრო საქმისმწარმოებლის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია
11	დურგლის მოსამზადებელი პროფესიული პროგრამა	II	32	დურგლის მეორე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია
12	დურგლის მოსამზადებელი პროფესიული პროგრამა	III	32	დურგლის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია

2. შპს - საქართველოს საერთაშორისო ურთიერთობათა უნივერსიტეტს სტუდენტთა მაქსიმალური რაოდენობიდან პროფესიული სტუდენტების ადგილების რაოდენობა განესაზღვროს 14 ადგილით.

3. საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2011 წლის 9 მარტის №4 სხდომის ოქმის მე-15 ნაწილი ცნობილ იქნას ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად.

4. საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6.

საბჭოს თავმჯდომარე

კახი ყურაშვილი

საბჭოს მდივანი